საქართველოს
ინტელექტუალური
საკუთრების
ეროვნული ცენტრი
**საქპატენტი**

მოწმობის ნომერი
**GE P 2015 117 B**
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი
**P 2014 102 A**

# მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა

განაცხადის ნომერი **P 2014 107**

თარიღი, საიდანაც იწყება უფლებების მოქმედება **2015 10 27**

განაცხადის წარდგენის თარიღი **2014 07 17**

განაცხადის მონაცემების გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი **2014 07 30 №4**

დარეგისტრირებული მცენარის ჯიშის გამოქვეყნების თარიღი და ბიულეტენის ნომერი **2015 10 27 №5**

---

**მცენარის ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

რბილი ხორბალი Triticum aestivum L .

**სელექციონერის სახელი, მისამართი და ქვეყნის კოდი:**

შპს ,,ფირმა ლომთაგორა"
მარნეულის რაიონი, ლომთაგორას დასახლება (GE);
კახა ლაშხი (GE); ირაკლი რეხვიაშვილი (GE);
გულნარი ჩხუტიაშვილი (GE)

**მცენარის ახალი ჯიშის დასახელება:** *ხორბალი ,,ლომთაგორა 126"*

**მოკლე დახასიათება:**

ჯიში მიეკუთვნება რბილი ხორბლის სახეობას (Triticum aestivum L.) და წითელმარცვლიან უფხო ფორმის სახესხვაობას – var. lutescens (Alef.).
ჯიში „ლომთაგორა 126" გამოირჩევა ზამთარისა და გვალვის მიმართ გამძლეობით, ხასიათდება აღმოცენების დიდი უნარით, ძლიერი ფესვთა სისტემითა და საკმაოდ მაღალი ბარტყობით. კარგად განვითარებული, პროდუქტიული თავთავების რაოდენობა მცენარეზე 7-დან 12-ის ფარგლებში მერყეობს და ერთ სიმაღლეზეა განლაგებული.
სტანდარტ ჯიშთან შედარებით საადრეოა. მცენარის მაქსიმალური სიმაღლეა 100 სმ; გამძლეა ჩაწოლისადმი, ადვილად ილეწება და ვარგისია მექანიზირებული აღებისათვის. თავთავი თეთრია, 11 სმ სიგრძის, კარგად განვითარებული 20-25 თავთუნით; მარცვალი მსხვილია, წითელი, რქისებრი კონსისტენციის.
მცენარე საშუალოდ გამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ.
ჯიშის „ლომთაგორა 126" საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 2-3 ტონით მაღალია საკონტროლო ჯიშებს „ბეზოსტაია 1"-სა და „ჯაგერთან" შედარებით. მაღალი აგროფონის პირობებში ჯიშის მოსავლიანობის პოტენციალია 8 ტ/ჰა-ზე.

გამოსახულება: 4



GE P 2015 117 B

# მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა

**I. კულტურა:** რბილი ხორბალი (ქართული სახელი) — Triticum aestivum L. emend. Fiori & Paol. (ლათინური სახელი)

**II. სელექციონერი:** შპს „ფირმა ლომთაგორა“
მარნეულის რ-ნი, ლომთაგორას დასახლება

**III. ჯიშის დასახელება:** ლომთაგორა 126
სელექციური ნომერი - 26

---

**IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე**

ხორბლის ჯიში „ლომთაგორა 126“ მიღებულია აგროსამეცნიერო ჯგუფის „ლომთაგორას“ მიერ ფაკულტატური ხორბლების საერთაშორისო სანერგედან (17FAWWON) ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდის გამოყენებით.

ჰიბრიდული ჯიში „ლომთაგორა 126“ გამოყვანილია ჯიშების „PEHLIVAN“ (თურქეთი) და „JAGGER“ (აშშ) შეჯვარებით. ჯიში მიეკუთვნება რბილი ხორბლის სახეობას (Triticum aestivum L) და წითელმარცვლიან უფხო ფორმის სახესხვაობას (var. lutescens (Alef.)).

ჯიშის „ლომთაგორა 126“ სათესლე მასალის გამრავლებას აწარმოებს შპს „ფირმა ლომთაგორა“.

**V. ჯიშის ნიშან-თვისებები**

(კვადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენებია გამოხატვის ხარისხი).

| | ნიშანი | გამოხატვის ხარისხი | ჯიში-ეტალონი | | ინდექსი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ბეზოსტაია 1 (საშემოდგომო) | ჯაგერი (ორთესლა) | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 5.1 | განვითარების ტიპი | ფაკულტატური | | | 2 |
| 5.2 | დათავთავების დრო (პირველი თავთავი შეიმჩნევა მცენარეთა 50%-ზე. მიანიშნეთ თავთავების თარიღი წარმოდგენილი ჯიშებისათვის და ორი საყოველთაოდ ცნობილი ჯიშებისათვის) | ლომთაგორა 126 - 13/V<br>ბეზოსტაია 1 – 16/V<br>ჯაგერი – 11/V | | | 3 [საადრეო]<br>5 [საშუალო]<br>3 [საადრეო] |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 5.3 | მცენარე: ზომები, (ღერო-სიმაღლე; თავთავი, ფხა ან ფხისმაგვარი დანართები – სიგრძე; მიუთითეთ ზომები წარმოდგენილი ჯიშისა და ორი საყოველთაოდ ცნობილი ჯიშებისათვის) | ლომთაგორა 126 – მცენარის სიმაღლე 95-100 სმ, თავთავის სიგრძე 11-12 სმ.<br>ბეზოსტაია 1 – მცენარის სიმაღლე 95-100 სმ, თავთავის სიგრძე 9-10 სმ.<br>ჯაგერი – მცენარის სიმაღლე 80-85 სმ, თავთავის სიგრძე 7-8 სმ. | | | 7 [გრძელი]<br>5 [საშ. სიგრძის]<br>3 [მოკლე] |
| 5.4 | ღერო: განივკვეთი (თავთავის ყუნწსა და ღეროს ზემო კვანძს შორის) | ამოვსებულია საშუალოდ | ამოვსებულია სუსტად | ამოვსებულია სუსტად | 5<br>3<br>3 |
| 5.5 | თავთავი: ფერი | თეთრი | თეთრი | შეფერილი | 1<br>1<br>2 |
| 5.6 | ფხები ან ფხისმაგვარი დანართები: არსებობა | არა | არა | ფხები | 1<br>1<br>3 |

## VI. ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲯᲘᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ

| ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲯᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ | ᲜᲘᲨᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲯᲘᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ | ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ | |
|---|---|---|---|
| | | ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲯᲘᲨᲘ | ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲯᲘᲨᲘ |
| ტანია | განვითარების ტიპი | საშემოდგომო | ფაკულტატური |
| | დათავთავების დრო | საგვიანო | საადრეო |
| | მცენარის სიმაღლე | საშუალოზე დაბალი | საშუალო სიმაღლის |
| | თავთავის სიგრძე | საშუალო | გრძელი |
| | ფხები, ან ფხისმაგვარი დანართები | ფხიანი | უფხო |

## VII ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

1. მავნებლებისა და დაავადებებისადმი მდგრადობა:
   ჯიში „ლომთაგორა 126" საშუალოდ ავადდება ხოკოვანი დაავადებებით, მდგრადია სეპტორიოზისა და ნაცრის მიმართ.
2. ჯიშის გამოცდის განსაკუთრებული პირობები:
   ინტენსიური ტიპის ჯიშია და უხვი მოსავლის მისაღებად საჭიროებს მაღალ აგროფონს.
3. სხვა ინფორმაცია:
   ჯიში „ლომთაგორა 126" განკუთვნილია საქართველოს ხორბლის მთესველი ყველა რეგიონისათვის.

*ხორბალი „ლომთაგორა 126"*



გამოსახულება: 1




გამოსახულება: 2



გამოსახულება: 3



გამოსახულება: 4